პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 235 (4485)
25 ნოემბერი, ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხვალ სრულდება 47 წელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან

✦

ახალი ამბები-71

● **ვოროშილოვგრადი**, 23 ნოემბერი. სსრ კავშირის თასზე აკრობატთა შეჯიბრების შემდეგ აქ გაიმართა ამ საპატიო პრიზის გათამაშება ბატუტზე ხტომებში. შესანიშნავად იასპარეზა ტოლიატელმა ო. სტარიკოვამ, რომელმაც შეძლო შარშან მოპოვებული თასის შენარჩუნება. ახლა სტარიკოვა აბსოლუტურად უძლიერესია: იგი ხომ ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონიცაა! უფრო დაძაბული გამოდგა ვაჟთა პაექრობა. მხოლოდ უკანასკნელი კომბინაციის (სირთულის კოეფიციენტი 9,9) უზადო შესრულებამ მოუტანა გამარჯვება კიეველ გ. ჩერნოვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან ი. ტოკართან „დუელში". ორ ბატუტზე სინქრონულ ხტომებში თასი დაისაკუთრეს: ქალთა შორის — სტარიკოვამ და სტავროპოლელმა ა. ნოვოდვორსკაიამ, ვაჟებში — სვერდლოვსკელებმა ნ. შმელიოვმა და ს. ლობანოვმა. შეჯიბრებაში 60-ზე მეტი უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. მოასპარეზეთა ოფიციალური სტუმარი გახლდათ ბატუტზე ხტომებში საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ე. კინცელი (გფრ).

● **ტაშკენტი, 24 ნოემბერი.** ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის X ტური ერთობ ნაყოფიერი იყო: 10 პარტიიდან მხოლოდ 4 დამთავრდა ყაიმით. კუპერმანმა ვერ დაძლია პირველობის დებიუტანტის ბელორიცკის შეუპოვარი დაცვა, განტვარგი დაუზავდა შერონსს, მიშჩანსკი — სლობოდსკოის, ხოლო დავიდოვი — ზალიტისს. მეექვსე გამარჯვება იზეიმა მსოფლიო ჩემპიონმა ანდრეიკომ, რომელმაც ამჯერად მაწშინს სძლია. მოგილიანსკიმ მოუგო გოლოსუევს, კორხოვმა — შაველს, გულიაევმა — ვეისმანს, შჩოგოლევმა — ციპესს, აბაციევმა — ივანოვს. 10 ტურის შემდეგ კვლავ წინაა ანდრეიკო — 7,5 ქულა 9-დან. II ადგილზე გადავიდა კორხოვი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს. 9-დან 6-6 ქულა აქვთ კუპერმანსა და განტვარგს. მოწინავე ხუთეულის ბოლოშია უზბეკეთის ჩემპიონი გულიაევი, რომელსაც 6 ქულა აქვს 10-დან.

● **მოსკოვი**, 23 ნოემბერი. აქ ერთ კვირას მიმდინარეობდა მოსკოვისა და ბუდაპეშტის მოჭადრაკეთა ამხანაგური ოთხწრიანი მატჩი. თითოეულ გუნდში იყო 12 მოთამაშე: ვაჟები, ჭაბუკები, ქალები და გოგონები. სამი წრის შემდეგ ანგარიში იყო 19:17 მოსკოველების სასარგებლოდ. მეოთხე წრეში მასპინძლებმა კვლავ კარგად ითამაშეს: ანგარიშით 6:4 (2 პარტია გადაიდო) სძლიეს მეტოქეს. საბოლოოდ მატჩში მოსკოვის გუნდმა გაიმარჯვა — 25:21 (გადადებული პარტიების შედეგს მნიშვნელობა აღარა აქვს).

დ ღ ე ს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს V პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. „სპარტაკის" რესპუბლიკური ორგანიზაციის ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; 2. საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში „სპარტაკის" სპორტსმენთა შედეგები და მომავლის ამოცანები.

დასაწყისი 12 ს.

ფიზკულტურის კოლექტივებში

შარშანდელი ჩემპიონი სარბიელზე არ გამოსულა

სოხუმის „განთიადის" ბაზაზე დამთავრდა ამ საზოგადოების ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნური კროსი, ჭადრაკი და ტყვიის სროლა. სტარტზე 500-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

ორთვიან ასპარეზობაში პირველობა ხვდა სამეცნიერო-საზღვაო სადგურის ფიზკულტურულ კოლექტივს, რომლის სპორტსმენებმაც იმარჯვეს მძლეოსნურ კროსში, ტყვიის სროლასა და ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში კი II ადგილები დაიკავეს.

II ადგილზე არიან ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" სპორტსმენები, III — საქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლები.

სპარტაკიადაში მონაწილეობა არ მიუღია შარშანდელ ჩემპიონს, № 6 სამშენებლო ტრესტის კოლექტივს. თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ თამბაქოსა და ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატების სპორტსმენები.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

„ვაჟთა სამი თამაშის" ქვეყანა

მონღოლეთში სპორტის ზოგიერთ სახეობას საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული. ესაა სახეობები, რომლებიც ადგილობრივ მკვიდრთაგან განსაკუთრებულ ძალას, ნებისყოფასა და ამტანობას მოითხოვდნენ. პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ძალა და მოქნილობა მეტოქის ბეჭებზე დასაგდებად. მონგოლები საზეიმო მოვლენების აღსანიშნავად დიდ სპორტულ დღესასწაულს (ნადომს) აწყობენ, რომლის პროგრამაშიც შედის ჭიდაობა, მშვილდოსნობა, დოღი. ამ დღესასწაულს „ერიინ გურვან ნაადამი" ჰქვია, რაც ჩვენებურად „ვაჟთა სამ თამაშს" ნიშნავს.

დოღს წინ უსწრებს დიდი ხნის სამზადისი. არსებობს მთელი დაუწერელი მეცნიერება ნადომისთვის ცხენების შერჩევისა და მომზადებისა. შეჯიბრებაში ათასამდე ცხენოსანი მონაწილეობს, რომლებიც ხუთ ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილი. დოღზე მხედრები დაქარგული კოსტიუმებით ცხადდებიან. ქუდებზე ყველას რაიმე განმასხვავებელი ნიშანი აქვს დამაგრებული, მაგალითად, მოფარფატე პეპელა. ეს ნიშნავს, რომ მხედარი პეპელასავით მსუბუქია და ცხენს არ დაღლის.

მუდამ დიდძალ მაყურებელს იზიდავს ეროვნული ჭიდაობა. შეჯიბრების რიტუალური ნაწილი უაღრესად რთულია. ორკესტრის ხმაზე სარბიელზე ცეკვით გამოდიან დაქარგულ საცურაო ტრუსებსა და გრძელსახელოიან მოკლე ჟილეტებში გამოწყობილი ათლეტები. ფეხთ ეროვნული ჩექმები — გუტულები აცვიათ, წვეტიანი ქუდები ან ჩვეულებრივი ფეტრის შლაპები ჰხურავთ. ხელებით მოჭიდავეები მითიური „ხან გარუდის" — ფრინველთა მეფის ფრენას გამოხატავენ. ეროვნულ ჭიდაობაში შეჯიბრების დროს სპორტსმენთა წონასა და სიმაღლეში განსხვავებას მნიშვნელობა არა აქვს. არც შეხვედრის დროა განსაზღვრული. გამარჯვებულია ის, ვინც მეტოქეს მიწაზე დასცემს, აიძულებს მაინც მიწას ხელით ან მუხლით შეეხოს.

მონგოლური ჭიდაობა განსხვავდება ევროპულისგან. იგი თავისუფალს უფრო უახლოვდება, ვიდრე კლასიკურს. ამ ჭიდაობაში ბევრი ილეთია — ზურგს უკან გდება, ყვინთვა, ჩაჭრა, სარმა, „წისქვილი". ერთ ტურში დამარცხებული მეორეში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. მის ადგილს სხვა მოჭიდავე იკავებს. ყოველ ტურში გამარჯვებულნი საპატიო წრეს უვლიან მონგოლეთის სახელმწიფო ალმის გარშემო. გამარჯვებულებს ლამაზ საპატიო წოდებებს ანიჭებენ: მეხუთე ტურიდან — არწივისას, მეშვიდედან და მეცხრედან — სპილოსას, მეათედან და მეთერთმეტედან — ლომისას. ყველაზე ძლიერს ენიჭება უმაღლესი ტიტული — ბუმბერაზისა.

სროლაში 12 კაცისგან შემდგარ ყოველ გუნდს სამიზნედ აქვს პირამიდასავით დაწყობილი ტყავის ცილინდრები, რომლებიც ას მეტრზე დგას. ყოველ სპორტსმენს 20 გასროლის უფლება ეძლევა. პირველ ორ ადგილზე გასულთ „მერგენის" (ყველაზე ზუსტი მსროლელის) ტიტული ენიჭებათ.

პარტიისა და მთავრობის პოლიტიკამ, რომელიც სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ყოველმხრივ განვითარებისკენაა მიმართული, ფიზკულტურა და სპორტი მონგოლეთში ფართო მასების საკუთრებად, ხალხის შრომითი მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილად აქცია.

1922 წელს მონგოლეთის სახალხო რევოლუციის ერთი წლისთავის აღსანიშნავად პირველად მოეწყო „ვაჟთა სამი თამაში". ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მონგოლი ხალხის სახელოვანი შვილი დ. სუხე-ბატორი, რომელმაც მაღალი ოსტატობა გამოავლინა ცხენოსნობაში. მონგოლეთში დაიწყო ფიზკულტურულ-სპორტული წრეების ჩამოყალიბება.

ამ ქვეყნის სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც 1946 წელს, მონგოლეთის სახალხო რევოლუციის 25-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე მოეწყო.

სპორტი თანდათან ვითარდებოდა პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის წყალობით. 1947 წელს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა. 1960 წელს იგი გადაკეთდა საზოგადოებრივ სპორტულ ორგანიზაციად — მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირად, რომელიც დღეს თავის რიგებში დაახლოებით 100 ათას კაცს აერთიანებს.

1950 წელს დამუშავდა და დაინერგა კლასიფიკაციის ერთიანი სახელმწიფო, სპორტის ბევრ სახეობაში კი საერთაშორისო სისტემა. სპორტსმენებს ენიჭებათ სპორტის ოსტატის წოდება, I, II და III თანრიგები.

პარტიის ახალ, XV ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის სულიერ, მორალურ, ფიზიკურ აღზრდას. ამ მიზნით მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები სისტემატურად ატარებენ მასობრივ შეჯიბრებებს, იქმნება აუცილებელი სპორტული ბაზები. IV სპარტაკიადაში, რომელიც სახალხო რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა, ქვეყნის ყოველი მეექვსე მცხოვრები მონაწილეობდა.

სახალხო ხელისუფლების წლებში მონგოლეთში ფართოდ გავრცელდა სპორტის თანამედროვე სახეობებიც — ძალოსნობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფრენბურთი, კალათბურთი, კრივი, ჭადრაკი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ჭადრაკმა რესპუბლიკაში უდიდესი პოპულარობა ჰპოვა. ახლა იშვიათად ნახავთ მონგოლეთში ოჯახს, სადაც საჭადრაკო დაფა არ იყოს. 1965 წელს მოჭადრაკე გ. უიტუმენმა საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა. მონგოლეთის წარმომადგენლები სამჯერ გამოვიდნენ სტუდენტთა მსოფლიო პირველობის ფინალურ შეჯიბრებებში.

50-ანი წლებიდან მონგოლი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ამხანაგურ შეხვედრებშიც მონაწილეობდნენ. სწორედ ამ დროიდან დაიწყო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების თანამშრომლობა უცხოეთის ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი საბჭოთა კავშირის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებთან. 1964 წელს მონგოლი სპორტსმენები პირველად გამოვიდნენ ოლიმპიური თამაშების სარბიელზე.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მონგოლეთის წარმომადგენლებმა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 70-ზე მეტი მედალი. მონგოლმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საერთო გუნდურ ჩათვლაში VII ადგილი დაიკავეს, 1969 წელს — VI, მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში კი IV ადგილზე იყვნენ სსრ კავშირის, ბულგარეთისა და იაპონიის მოჭიდავეთა შემდეგ. ჟ. მუნხბატი XIX ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

მედლების მზრდ ველების ქვეყნის სპორტსმენებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წლევანდელი — მონღოლეთის რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელი. მშვილდოსნობის მსოფლიო პირველობაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. დემიდრემმა ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა. სოფიაში, სადაც თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, მონგოლმა ათლეტებმა საერთო V ადგილი დაიკავეს. ბ. ჟამირანმა (მსუბუქი წონა) და ხ. ბაიანმუნხმა (ქვემძიმე) ვერცხლის მედალი მოიპოვეს, მ. ხოლოგდორჯს კი ბრინჯაოს ჯილდო ხვდა. აზიის ქვეყნების მოკრივეთა პირველობაში მონღოლეთის წარმომადგენლებმა საერთო IV ადგილი დაიკავეს — ჩამოიტოვეს იაპონიის, პაკისტანის, ფილიპინებისა და სხვა ქვეყნების გუნდები. მათ ოქროს 1, ვერცხლის და ბრინჯაოს 2-2 მედალი დაისაკუთრეს.

სპორტული მოძრაობის დღევანდელი დონე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იმის საწინდარია, რომ ამ ქვეყნის სპორტსმენები მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ. ამის განაპირობებს ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა, პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღება.

ო. შედერნიკოვი.
(სახდესის კორ.).

სურათზე: მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი მრავალჭიდში, მოსკოველი ა. კარპუხინა ასპარეზობის დროს.

სახდესის ფოტო.

ანგარიში ჩააბარა

თბილისში გაიმართა საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციის საანგარიშო კრება. განვლილ პერიოდში ფედერაციის საქმიანობის შესახებ ილაპარაკა სათხილამურო სპორტში ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა შ. ნავერიანმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა რესპუბლიკის მოთხილამურეებისა და მოციგავეების მოპოვებულ წარმატებებზე საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში, სპორტის ამ სახეობების განვითარებისთვის ჩატარებულ ღონისძიებებზე, ბაზების მშენებლობაზე.

ითქვა, რომ რესპუბლიკის სპორტულ ბაზებს შეემატა 90-მეტრიანი ტრამპლინი, რომელმაც სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მოწონება დაიმსახურა. ეს ნაგებობა მსოფლიოს საუკეთესო ტრამპლინთა სიაში შეიტანეს. ბაკურიანშივე გაიყვანეს პორტატიული საბაგირო გზები, შეკეთდა საბაგირო გზა კოხტაგორაზე, დაჩქარდა კოხტა II — მიტარბის სწრაფდაშვების ტრასის მშენებლობა, რეკონსტრუირებულია სლალომისა და გიგანტური სლალომის ტრასები, დასასრულს უახლოვდება 70-მეტრიანი ტრამპლინისა და სარბენი ტრასების მოწყობა.

ფედერაცია ზრუნავდა რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის მასობრივად განვითარებისთვის. შარშან ტრამპლინიდან ხტომაში პირველად ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. წინა წლებთან შედარებით ამაღლდა რესპუბლიკის სპორტსმენთა შედეგები საკავშირო ტურნირებში, საგრძნობლად შეივსო სპორტის ოსტატებისა და სხვა მაღალთანრიგოსანთა რიგები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ქ. ასტახიშვილმა, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ოგანეზოვმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა უ. თეთრაშვილმა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორმა ნ. დუმბაძემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტურიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის გამგემ ლ. გიორგაძემ, ამავე კათედრის მასწავლებელმა ვ. შალუტაშვილმა, სათხილამურო სპორტის ენთუზიასტებმა, ვეტერანმა ა. მგალიამ და თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ქ. ლომინაძემ მოპოვებულ წარმატებებთან ერთად აღნიშნეს ის ნაკლიც, რაც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენი სათხილამურო სპორტის განვითარებაში.

აღინიშნა, რომ ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა სათანადო ღონისძიებანი დასახეს საქართველოში ზამთრის სპორტის შემდგომი აღმავლობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოზარდებთან მუშაობას. ამ მიზნით მარტო განათლების სამინისტროს რესპუბლიკაში აქვს 46 ჯგუფი, რომლებშიც 666 ბავშვის აღზრდას 25 მწვრთნელი ემსახურება. ამას გარდა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლასთან მუშაობს 9 ჯგუფი, ახალქალაქში ახალგაზრდობის სპორტსკოლასთან მოქმედებს 3 ჯგუფი, „დინამოს" ჩამოყალიბებული აქვს 16, „კოლმეურნეს" 6, „სპარტაკს" 2 ჯგუფი და სხვ. ახალი წლიდან ბაკურიანის საშუალო სკოლის ბაზაზე გაიხსნება „დინამოს" მოზარდთა სპეციალიზებული სამთოსათხილამურო სკოლა. ეს დიდი დახმარებაა, მაგრამ არსებული ჯგუფების შრომისნაყოფიერება შედარებით ნაკლებია, რაც ძირითადად გამოწვეულია ინვენტარის სიმცირითა და საქმისადმი ზოგიერთი მწვრთნელის გულგრილი დამოკიდებულებით. საქმეს ისიც აფერხებს, რომ აღსაზრდელებისთვის რესპუბლიკური ტურნირები ყოველწლიურად არ ტარდება. მაგალითად, ბოლო სეზონში არ გამართულა საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ახალქალაქის, ყაზბეგის, გარდაბნის, ასპინძის სპორტსკოლების ჯგუფები. ახალქალაქში სათხილამურო სპორტის 10 ჯგუფის მუშაობა თითქმის არავითარ ნაყოფს არ იძლევა.

რესპუბლიკის მოთხილამურეები მთლიანად არც ტექნიკური ბაზით არიან უზრუნველყოფილი. ბევრი ობიექტი დაუმთავრებელია. ტექნიკური ბაზის გაფართოებისთვის ბევრის გაკეთება შეუძლიათ სპორტსაზოგადოებების საბჭოებს, მაგრამ ისინი რატომღაც ამ საკითხის გადაწყვეტისთვის ცოტას აკეთებენ.

სერიოზული ნაკლოვანებები იყო კადრების მომზადებაშიც. ფიზკულტურის ინსტიტუტის შესაბამისი კათედრა ამ მხრივ დიდ ინიციატივას არ იჩენდა, რის გამოც ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სათხილამურო სპორტში ხეირიანად ვერც კი ერკვეოდა. ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში ამ საკითხზე იმსჯელეს, დაისახა სათანადო ღონისძიება, შეიცვალა კათედრის ხელმძღვანელობა და ერთგვარი ძვრებიც შეიმჩნევა.

ფედერაციის საქმიანობის კიდევ ერთი ნაკლი ისაა, რომ მსაჯთა მოსამზადებელი სემინარები რეგულარულად არ ეწყობოდა. მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი არბიტრების მიმართ სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენდა. ამან გამოიწვია, რომ ზოგიერთი არბიტრი რესპუბლიკურ ტურნირებს თავს არიდებდა. ეს ყველაზე მეტად საქართველოს ჩემპიონატის დროს გამოვლინდა.

ფედერაციის სხდომაზე აღინიშნა, რომ მომავალში საჭიროა სათანადო ორგანიზაციის წინაშე დაისვას იმ მსაჯთა დისკვალიფიკაციის საკითხი, რომლებიც შეჯიბრებებს თავს არიდებენ, არ ზრუნავენ ცოდნის ამაღლებისათვის.

ფედერაციის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, რომელმაც ილაპარაკა ფედერაციის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, მის ამოცანებზე. მან აღნიშნა, რომ ბაკურიანი საპირო ოლიმპიური თამაშებისთვის სსრ კავშირის ნაკრების მზადების ცენტრია, რაც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ აქ ბაზების მშენებლობისა და სპორტსმენთა აღზრდისთვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ნაკრების საბოლოოდ დასაკომპლექტებელი შეჯიბრებების მაღალ დონეზე გამართვისთვის.

ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ბოლოს მოეწყო ფედერაციის, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და მწვრთნელთა საბჭოს ახალ შემადგენლობათა არჩევნები.

რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის ფედერაციაში აირჩიეს 11 კაცი. თავმჯდომარედ არჩეულია თ. ფხაკაძე, მოადგილედ — ლ. გიორგაძე.

მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია წარსულში ცნობილი სამთომოთხილამურე მ. გავა.

მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ ისევ საკავშირო კატეგორიის მსაჯი ქ. ასტახიშვილი დარჩა.

წერილმა გვიხმო...

„მდიდარი ძია" და უკბილო ფედერაცია

ამ წერილის მომზადების მიზეზი გახლდათ გაგრიდან მოსული ბარათი: „ჩვენი საფეხბურთო გუნდი „სპარტაკი" ეშერაში სოხუმის რაიონის „თამბაქოს კომბინატს" ხვდებოდა. მეორე ტაიმის 24-ე წუთზე ჩვენი მოთამაშე ლ. კეტია დაშავდა. ჩვენ ნახევარ საათს ველოდით ექიმს, მერე კი მსაჯმა მატჩი შეწყვიტა. ახლა გვაიძულებენ მატჩი ხელახლა ვითამაშოთ, რადგან აფხაზეთის ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაწყდეს"...

წერილი 15 ნოემბერს მივიღეთ, საღამოს უკვე მატარებელში ვიჯექი.

• • •

რამდენიმე სიტყვა აფხაზეთის ჩემპიონატზე ფეხბურთში. წინასწარი თამაშების შემდეგ ფინალურ ჯგუფში გავიდა ოთხი გუნდი — სოხუმის რაიონის „თამბაქოს კომბინატი", გაგრის „სპარტაკი", „სოხუმხელსაწყო" და გალის „მზიური". ბრძოლა დაძაბული და მწვავე იყო. ფავორიტებად ითვლებოდნენ გაგრის სპორტსმენები და სოხუმის რაიონის „თამბაქოს კომბინატის" წარმომადგენლები. და აი, 19 სექტემბერს მათ შორის მოეწყო კალენდარული თამაში ეშერაში. მსაჯი იყო ტყვარჩელის № 22 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გუდაუთის განყოფილების გამგე შ. სიჭინავა, პირველი კატეგორიის მსაჯი, სერიოზული კაცი, რომელსაც სიამოვნებით იწვევენ რესპუბლიკის პირველობებში.

მატჩი ტარდებოდა დიდი სპორტული დღესასწაულის წინ, რომელსაც სოხუმის კომკავშირის რაიკომი აწყობდა., ნაყურებელი ბლომად იყო. ბუნებრივია, ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვდა მსაჯებისა და ფეხბურთელებისგან. მართალია, მსაჯს გაუჭირდა. აი, რა წერია პატაკში: „გასახდელიც არ ჰქონდათ. მე პირდაპირ მინდორზე მომიხდა გახდა. თანაშემწეები არ მყავდა... მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ექიმი არ ჰყავდათ"...

ახლა მოვუსმინოთ ეშერელ მედდას თ. ჩერავას: „მე ამ შეჯიბრებას დილის 11 საათიდან ვემსახურებოდი. ცხელი დღე იყო. თან ბავშვი მყავდა, რომელიც ცუდად გახდა და შინ წავიყვანე".

მერე მედდა დაბრუნდა, მაგრამ მალე ისევ წავიდა. და აი, მატჩის მეორე ნახევრის 24-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 1:1, გაგრის გუნდის წევრი ლ. კეტია დაშავდა, ეშერის სტადიონზე კი ექიმი არ აღმოჩნდა. მსაჯი ნახევარ საათს ელოდა ექიმს, მერე კი ორივე გუნდი დაითხოვა.

ამის პასუხად სოხუმელთა წარმომადგენლებმა მ. ქვაცაბაიამ (იგი კომბინატში ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად მუშაობს) თამაშის ოქმს ხელი სტაცა და გაიქცა.

მსაჯმა სიჭინავამ პატაკი დაწერა ამ თამაშზე. მოსალოდნელი იყო, რომ სოხუმის რაიონის გუნდს (იგი მასპინძელი იყო) ექიმის არყოფნის გამო წაგება ჩაეთვლებოდა.

მაგრამ საკითხი ვერ გადაწყვიტეს. გავიდა თითქმის თვე (!) და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია დაუბრუნდა ამ შეხვედრას.

აი, ფედერაციის ზოგიერთი წევრის აზრი (ამოღებულია ფედერაციის 1971 წლის 12 ოქტომბრის სხდომის ოქმიდან).

ვ. გრამატიკოპულო — სოხუმის „დინამოს" მწვრთნელი: „მსაჯს არ ჰქონდა მატჩის შეწყვეტის უფლება. ხელმძღვანელობამ ექიმიც მოიყვანა და მედდაც, მაგრამ მსაჯმა უარი თქვა, არ დაიჯერა, რომ ისინი მედიცინის მუშაკები იყვნენ. ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ ამ მატჩის ხელახლა დანიშვნით. გაიმარჯვებს უძლიერესი გუნდი. ამას გარდა, მწვრთნელთა საბჭო შეძლებს კანდიდატები შეარჩიოს „დინამოს" ოსტატთა გუნდისთვის".

ი. პანტურია — სოხუმის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი: „პირადად მე არ ვენდობი სიჭინავას, რადგან მისი საქციელი მსაჯისთვის შეუფერებელია. მას გამუდმებული კონტაქტი ჰქონდა გაგრელ მოთამაშეებთან, ხოლო გაგრაში მატჩზე, სადაც მინდვრის მსაჯის თანაშემწე იყო, პირდაპირ სარბიელზე აძლევდა მოთამაშეებს რჩევა-დარიგებებს. მსაჯი ფაქტებს ამახინჯებს, ეს მატჩი კი კომკავშირის დიდ დღესასწაულთან იყო დაკავშირებული".

ნ. კემულარია — აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე: „... მსაჯი, რასაკვირველია, აჩქარდა. მას შეეძლო დაეცადა და ექიმის საკითხი გაერკვია. ვერ დავეთანხმებით იმ გადაწყვეტილებას, რომ სოხუმის თამბაქოს კომბინატის გუნდს წაგება ჩაეთვალოს იმ საბაბით, თითქოს მატჩი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი არ იყო".

და აი, 12 ოქტომბერს ფედერაციამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება: „მატჩი „თამბაქოს კომბინატსა" (სოხუმის რაიონი) და „სპარტაკს" (გაგრის რაიონი) შორის, რომელიც 1971 წლის 19 სექტემბერს ტარდებოდა და არ დამთავრდა, ხელახლა დაინიშნოს, რადგან მსაჯმა სიჭინავამ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. არ მიმართა ზომებს მატჩზე მედიცინის მუშაკის შესაცვლელად და შეხვედრა შეწყვიტა".

გაგრის წარმომადგენელს არც მოუსმინეს. რატომ?

ვნახოთ რა მდგომარეობაა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციაში. აქ ყველა წევრი სოხუმელია, რაიონებს კი არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავს. გადამწყვეტია ფედერაციის წევრის, სოხუმის რაიონის თამბაქოს კომბინატის დირექტორ ლ. ქვარანძიას აზრი. ეს „მდიდარი ძია" სიამოვნებით იღებს სამუშაოდ სოხუმის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელებს, წვლილი მიუძღვის აბონემენტების გავრცელებაშიც. ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ რატომ ვუპირისპირებთ მეცენატობას ნამდვილ, პატიოსნურ ფეხბურთს?

გასაგებია, რომ აფხაზეთის მარშანდელი ჩემპიონის (მართალია, „დინამოს" ყოფილ მოთამაშეთა ხარჯზე) თამბაქოს კომბინატის გუნდს წლეულსაც სურს ტიტულის შენარჩუნება, მაგრამ განა ყველა გზა მისაღებია? საინტერესოა, რომ ფედერაციისა და პირველობის მთავარი მსაჯის გ. პოლოსიანისთვის წარდგენილ არც ერთ პროტესტს თარიღი არ უზის. თუმცა საჭირო იყო, რომ ორივე 24 საათის განმავლობაში გაეგზავნათ აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში. როგორც ჩანს, პროტესტი მხოლოდ მაშინ მომზადდა, როცა ნათელი გახდა, რომ გაგრის „სპარტაკი" ჩემპიონის ტიტულის რეალური პრეტენდენტი იყო.

საინტერესოა ისიც, რომ კომბინატის გუნდის წარმომადგენელმა მ. ქვაცაბაიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „...იცით, მატჩის მსაჯი სიჭინავა მთვრალი იყო და მინდოდა შემემოწმებინა, მაგრამ სადღაც გაქრა".

რა საჭიროა ეს განცხადება? უბრალოდ ცეცხლზე ნავთის დასასხმელად. მთელს ამ განწყობილებას ხომ თავად სოხუმის კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. პანტურიამ მისცა ტონი. ცნობილია თუ არა მისთვის, რომ ამ გუნდების მეორე მატჩზე გაგრაში შ. სიჭინავა საერთოდ არ მსაჯობდა?

... აი, მოხდა ის, რომ ფედერაცია ანკესზე წამოეგო.

• • •

გასაგებია, რომ ასეთი „ეშმაკური" გადაწყვეტილება გაუგებარი აღმოჩნდა გაგრის სპორტსმენებისთვის. დაიწერა პროტესტი. 1971 წლის 5 ნოემბრს უკვე აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა განიხილა საკითხი.

განიხილავდა მთელი ორი საათის განმავლობაში. და ბოლოს ფედერაციის გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო მხოლოდ აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჩაჩავა.

აი, მაშინ გამოგზავნეს წერილი ჩვენს რედაქციაში. ჩვენ შევხვდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე გ. ბაქანიძეს, რომელიც ასევე გაოცებული გახლავთ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით.

მკითხველთა საყურადღებოდ: 1971 წლის 1 აგვისტოს ჩატარდა აფხაზეთის ჩემპიონატის მატჩი გალში. ექიმი არც იქ ჰყოლიათ. „საქართველოს" (ოჩამჩირე) მოთამაშე დ. ევანია დაშავდა და საავადმყოფოში ტაქსით გადაიყვანეს. მიუხედავად ამისა, „მზიურს" (გალი) წაგება არ ჩაეთვალა. თქვენ წარმოიდგინეთ, დაუსჯელი დარჩა მატჩის მსაჯი, სოხუმელი ს. ტკაჩენკო. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მხოლოდ გადაწყვეტილება გამოიტანა: „მსაჯებმა ყურადღებით შეარჩიონ მატჩის მომსახურებისთვის მედიცინის მუშაკთა გაგზავნა".

დასასრულ ვიტყვით, რომ ხელახალი შეხვედრა 20 ნოემბერს არ შედგა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა წაგება ჩაეთვალოს სოხუმის რაიონის თამბაქოს კომბინატის გუნდს, რომელმაც მატჩი სამედიცინო მომსახურებით ვერ უზრუნველყო. აფხაზეთის ჩემპიონობა სამართლიანად დაისაკუთრა გაგრის „სპარტაკმა".

ვ. ბუკინი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

გაგრა — სოხუმი.

ემზადებიან

გაისად კიევში სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები გაიმართება. ამ დიდი ასპარეზობისთვის მზადება უკვე კარგა ხანია დაიწყო. აქ დაბეჭდილი სურათებით ძნელია გაარკვიო, ვინ რა სახეობაში ვარჯიშობს — მძლეოსნობაში, ფეხბურთში თუ რომელიმე სხვაში?..

ნუ ვიმარჩიელებთ, ამ სურათებზე აღბეჭდილი ჭაბუკები საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრების კანდიდატები არიან. ერთის შეხედვით ამ „იოლ" სახეობაში საჭიროა მრავალმხრივი ფიზიკური მომზადება. ამიტომაა, რომ ისინი მეცადინეობენ მძლეოსნობაშიც, ფეხბურთშიც და ტანვარჯიშშიც.

ჭაბუკებს ავარჯიშებს ნაკრების მწვრთნელი ი. კანდარიანი. გ. მელაძე, თ. კრიხელი, რ. კაპანაძე, ს. ავეტისოვი, დ. ჩაჩუა და სხვა მისი აღსაზრდელები ამ გზით კიდევ უფრო იწრთობიან, რაც დიდად უწყობს ხელს ძირითად სახეობაში დაოსტატებას.

ბ. ქვათაძის ტექსტი და ფოტო.

ლანჩხუთის „გურია“ ჩემპიონია

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „ქართლი“ (გორის რაიონი)— „განთიადი“ (ცხინვალი) 4:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა გორელთა აშკარა უპირატესობით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავდამსხმელმა რევაზიშვილმა. ოთხივე ბურთი „განთიადის“ კარში მან გაიტანა.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილებულია „ქართლის“ მოთამაშე გ. ჩოჩიშვილი.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „ივერია“ (ხაშური) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მასპინძლებმა წარმატებით ჩაატარეს პირველი ტაიმი და შესვენებაზე კარგი ბალანსით წავიდნენ — 2:0. ბურთები გაიტანეს კობერიძემ და სიამაშვილმა (11-მეტრიანით). შესვენების შემდეგ გურჯაანელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, თუმცა წაგებას მაინც ვერ დააღწიეს თავი. ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა გვენცაძემ.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ტაიმს შედეგი არ მოუცია. მეტალურგებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება და ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში (კაპანაძე, სხილაძე, გლინიანოვი).

● „სულორი“ (ვანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1 მსაჯი მ. სიჯინავა (გუდაუთა).

მატჩის დამთავრებას სულ რამდენიმე წამი აკლდა და თბილისელები წინ იყვნენ ანგარიშით 1:0 (ბურთი გაიტანა ხვედელიძემ). ამ დარჩენილ მცირე დროში გოგელიას დარტყმამ „სულორი“ წაგებას გადაარჩინა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:2. მსაჯი გ. ხართანია (ზუგდიდი).

მასპინძლები პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ ძაგანიასა და გვარამიას ბურთების მეოხებით, შემდეგ კი ოოხავამ ანგარიში სამამდე გაზარდა. „ეგრისმა“ საქმე მოთავებულად მიიჩნია და თამაშს უკლო. ამით ისარგებლეს სტუმრებმა და ზედგენიძემ 2 საპასუხო გოლი გაიტანა.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „სინათლე“ (თბილისი) 4:3. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ისანი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

წულუკიძელებს გამარჯვება მოუტანა ფარჯხალაძის მიერ 33-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან წულუკიძელი პ. გიგინეიშვილი და თბილისელი ვ. მელაშვილი.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ციხკარი“ (სიღნაღი) 6:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ლოკომოტიველებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ბურთები გაიტანეს მონასელიძემ, კაზარიანმა, სართანიამ (2) და ქირდიკაშვილმა (2). საპასუხო გოლების ავტორები იყვნენ ზურაშვილი და ხატიაშვილი.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია თბილისელი თ. ადუაშვილი.

● „სამცხე“ (აწყური) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს თავ-ღონის სრული დაძაბვით თამაშს აიძულებდა. მატჩი შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნა. ჭიათურელებმა ვერ შეძლეს რამდენიმე კარგი მომენტის გამოყენება სამაგიეროდ, „სამცხის“ თავდამსხმელმა სუხიაშვილმა 89-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც მეტად საჭირო 2 ქულა მოუტანა „სამცხეს“.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია აწყურელი მ. კიკაძე.

• • •

თბილისის არმიელებს წაგება ჩაეთვალათ სამტრედიის „ლოკომოტივთან“, ხოლო თბილისის „სინათლეს“ — ლანჩხუთის „გურიასთან“.

მიუხედავად დარჩენილი თამაშებისა, **ლანჩხუთის „გურიამ“ უკვე გაინაღდა საქართველოს ჩემპიონის წოდება.**

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი)	48	35	7	6	101—35	77
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	49	31	11	7	81—32	73
„სინათლე“ (თბილისი)	50	30	6	14	88—50	66
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	49	24	12	13	66—54	60
„კახეთი“ (თელავი)	48	20	18	10	74—52	58
„მარაკეთილი“ (გარდაბანი)	47	20	13	14	63—56	53
„დინამო“ (ზუგდიდი)	48	19	14	15	65—45	52
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	48	17	18	13	57—47	52
„ეგრისი“ (ცხაკაია)	50	19	14	17	62—65	52
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	46	21	6	19	70—56	48
„ივერია“ (ხაშური)	49	16	16	17	57—58	48
„სულორი“ (ვანი)	49	16	16	17	47—52	48
„გიგანტი“ (ლაითური)	49	17	13	19	63—68	47
„ქართლი“ (გორის რაიონი)	49	17	12	20	78—80	46
„შუქურა“ (ქობულეთი)	49	17	12	20	49—64	46
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	44	18	9	17	69—57	45
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	49	17	11	21	53—66	45
ბსკ (თბილისი)	47	15	14	18	50—51	44
„ისანი“ (თბილისი)	48	12	19	17	45—47	43
„სამცხე“ (აწყური)	47	14	15	18	62—69	43
„სქური“ (წალენჯიხა)	49	11	21	17	57—77	43
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	49	16	10	23	44—56	42
„ციხკარი“ (სიღნაღი)	48	9	17	22	35—68	35
„განთიადი“ (ცხინვალი)	47	12	9	26	45—72	33
„ალაზანი“ (გურჯაანი)	49	7	14	28	38—69	28
„ვარძია“ (ასპინძა)	49	6	13	30	41—115	25

6 : 1

კატმანდუ, 23 ნოემბერი. ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ ანგარიშით 6:1 (1:0) დაამარცხა ნეპალის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები. მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ქურაშლიოვმა (2), სემიონოვმა, ვასენინმა, კუკსოვმა და ელისეევმა.

წერილი რედაქციას

სად ვისწავლოთ ცურვა?

პატივცემულო რედაქციავ!

თქვენი და სხვა გაზეთების ფურცლებზე ხშირად წავიკითხავს განცხადება: ისწავლეთ ცურვა, მეცადინეობა შეგიძლიათ თბილისის აუზებში, მიუხედავად თქვენი ასაკისა.

ჩვენც ერთ დღეს ვაკის რესპუბლიკურ დახურულ საცურაო აუზს იმ იმედით მივაშურეთ, რომ ცურვას შევისწავლიდით. აუზის მუშაკებმა გვკითხეს, ცურვა თუ იცითო და, როცა უარყოფითი პასუხი მიიღეს, თავაზიანად გვირჩიეს საირმის ქუჩაზე მდებარე აუზზე მივსულიყავით. იქაც იგივე კითხვა გაგვიმეორეს და ვაკეში გაგვგზავნეს. აქ თურმე სასწავლებლად იღებენ მხოლოდ ბავშვებს და მათი ჯგუფებიც გადატვირთულია, ჩვენ კი 17 წლისანი ვართ.

ახლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ გვირჩიოთ, რა ვქნათ?

თ. კალანდაძე,

გ. ავალიშვილი.

• • •

რედაქციისგან: ანალოგიური ხასიათის წერილები რედაქციაში ხშირად შემოდის. მათი ავტორებისა და სხვათა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ცურვის მოყვარულებისთვის რეგულარულად მუშაობენ „ლოკომოტივისა“ (300 არაგველის ქ. № 1) და „შრომითი რეზერვების“ (ოქტომბრის ქ. № 134) აუზები. ამ ბაზებზე ვარჯიში შეუძლიათ მათ, ვინც ცურვა იცის, და მათაც, ვისაც ცურვის სწავლა სურს. ორივე აუზზე ახალბედებს კვალიფიციური მეთოდისტები ემსახურებიან.

დღეს 5 მატჩია

კალათბურთელ ვაჟთა XXXIX საკავშირო ჩემპიონატის პირველ ტურში ყველა 10 გუნდი მონაწილეობს. სამ ქალაქში — მოსკოვში, კიევსა და თბილისში ურთიერთობას გაარკვევენ თანაქალაქელები: მოსკოვში — ცსკა და „დინამო“, კიევში — „სტროიტელი“ და ისკ, თბილისში — „დინამო“ და „ბურევესტნიკი“. ვილნიუსში ერთმანეთს შეხვდება ლიტვის ორი კოლექტივი — ადგილობრივი „სტატიბა“ და კაუნასის „ჟალგირისი“, ტარტუს „კალევი“ კი ლენინგრადის „სპარტაკს“ უმასპინძლებს.

შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივები თითქმის ორ კვირას „დაისვენებენ“ და მორიგ მატჩებს მხოლოდ 8 და 10 დეკემბერს გამართავენ. 8 დეკემბერს „ბურევესტნიკი“ მოსკოვის დინამოელებს მიიღებს, 10-ში კი ჩვენი მოსკოველი სტუმრები თბილისელ თანაკლუბელებს შეხვდებიან.

კალათბურთი

[illegible] რაიონებიდან

✦ წითელი წყარო

რაიონის კალათბურთელ ვაჟთა პირველობაში 8 კოლექტივი მონაწილეობდა. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არბოშიკის კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს გუნდები. გაიმარჯვეს კოლმეურნე კალათბურთელებმა, რომელთაც გადაეცათ გარდამავალი თასი.

უ. წყარუაშვილი.



ობიექტივში მსოფლიო

ზანდვურტში გამართულმა ავტომობილისტთა შეჯიბრებამ „ნიდერლანდების დიდ პრიზზე“ მრავალრიცხოვანი მაყურებლისა და სპეციალისტების განუზომელი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო მრბოლელმა მიიღო მონაწილეობა. ამ სურათზე ასპარეზობის ერთ-ერთი სახიფათო მომენტია აღბეჭდილი: დიდი სისწრაფით მქროლი ჰენრი პესკაროლო (საფრანგეთი) და ავსტრალიელი ტიმ შენკენი (მარჯვნივ, № 25) მოსრიალდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, არაფერი მოსვლიათ. წინა პლანზეა ავსტრალიელი დეივ უოლკერი (№ 15), რომლის მანქანა რამდენიმე წრის შემდეგ ამავე ადგილზე მოცურდა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

• •



ავსტრალიელი ჩოგბურთელები ჯონ ნიუკომბი და კენ როზუოლი საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები არიან. განსაკუთრებით მწვავედ და საინტერესოდ მიმდინარეობს მათი ორთაბრძოლები. სურათზეც სწორედ ამ ორი სახელოვანი ჩოგბურთელის შეხვედრის ერთი მომენტია აღბეჭდილი უიმბლდონის ტურნირის დროს. ნიუკომბი უძნელეს ბურთს იღებს. ეს მატჩი მან მოიგო ანგარიშით 6:1, 6:1, 6:3.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

▲ **სოფია.** ბულგარეთში ორი საერთაშორისო მატჩი გამართეს ბუქარესტის „შკოლარეცის“ რეგბისტებმა. სტუმრებმა დაამარცხეს ფოსტინბროოდის ნაკრები (21:13), სოფიის „ლოკომოტივთან“ კი წააგეს — 6:9.

▲ **სიდნეი.** 25-მეტრიან აუზში გაიმართა ავსტრალიელ მოცურავეთა წლევანდელი პირველი საზაფხულო შეჯიბრება. ტურნირის მიზანი იყო ქვეყნის ნაკრების კანდიდატთა შემოწმება მიუნხენის ოლიმპიადისთვის. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უენდენმა მოიგო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — 1.56,2. 400 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში იმარჯვა უინდიტმა — 4.09,1. 200 მეტრზე ბატერფლაით პირველი იყო კუპერი — 2.08,1. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ყველას აჯობა 16 წლის პაპერმა — 1.02,5. ქალთა შეჯიბრების სარბიელზე ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოვიდა გოულდი, რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (1.00,4) II ადგილზე გასულ კომფორდს 0,3 წამი მოუგო. ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი იყო უოლისი — 2.17,2. 100 მეტრზე გულაღმა შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა კეინს — 1.07,8, ხოლო ამავე დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში — მაკლემენტს — 1.06,9.

▲ **ინსბრუკი.** ავსტრიისა და საფრანგეთის დაშნით მოფარიკავეთა გუნდურ ტურნირში ფრანგებმა გაიმარჯვეს — 9:7.

▲ **ბადიურკაიმი** (გფრ) აქ ჩატარდა დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ინგლისის, გფრ-ისა და საფრანგეთის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გუნდურ ჩათვლაში ფრანგებმა იმარჯვეს — 41 ქულა. ინგლისისა და მასპინძელთა კოლექტივებს 35-35 ქულა აღმოაჩნდათ. პირადი პირველობა ინგლისელმა პორნმა მოიგო.

▲ **ტოკიო.** დამთავრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი კალათბურთში. მიუნხენის ოლიმპიადის საგზურები იაპონიისა და ფილიპინების ვაჟთა გუნდებმა მოიპოვეს.

▲ **გეტებორგი** ჩრდილოეთის ქვეყნების ტანმოვარჯიშე ვაჟთა ჩემპიონატი მოიგო სტორჰაუგმა (ნორვეგია), რომელმაც სავალდებულო პროგრამით 53,55 ქულა მოაგროვა. გუნდურ ტურნირში ყველას ფინელებმა აჯობეს — 208 ქულა. II ადგილზე არიან ნორვეგიელები — 207,25, III — მასპინძლები, შვედი ტანმოვარჯიშეები — 202,3.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

საფრანგეთი

XIV ტურში მარსელის „ოლიმპიკმა“ შინ მოუგო „ანგულემს“ — 3:0. გოლები გაიტანეს ბონელმა, კუეკუმ და სკობლარმა.

საუკეთესო სნაიპერთა სიას კვლავ ლიდერობს აფრიკელი კეიტა („სენტ-ეტიენი“) — 15 ბურთი.

აი, ლიდერთა სამეული:

. . . .	თ.	ბ.	ქ.
„ოლიმპიკი“	13	28:12	19
„ნიმი“	14	31:16	18
„სოშო“	14	20:19	18

ინგლისი

XVII ტურის მატჩებში განსაკუთრებით საინტერესო იყო ორი შეხვედრა. ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ სძლია ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ — 3:1. 2 გოლის ავტორია ლოუ. ლონდონში გამართული შეხვედრა ადგილობრივ „არსენალსა“ და „მანჩესტერ-სიტის“ შორის შარშანდელი ჩემპიონის „არსენალის“ მარცხით დამთავრდა — 1:2. ანგარიში ლონდონელმა ნელსონმა გახსნა, მაგრამ მელორმა და ბელმა „მანჩესტერ-სიტის“ გამარჯვება მოუტანეს. ჩემპიონი ამჟამად მხოლოდ IX ადგილზეა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“	17	35:18	26
„დერბი ქაუნთი“	17	28:13	23
„მანჩესტერ-სიტი“	17	30:17	23

გფრ

ქვეყნის ჩემპიონმა — მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ XV ტურში 2 ქულა დაკარგა ბრაუნშვაიგში ადგილობრივ „აინტრახტთან“ — 1:2, ხოლო მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა“ შინ მოუგო თასის მფლობელს — მიუნხენის „ბაიერნს“ — 3:2.

„შალკე-04“ (გელზენკ.)	15	35:14	24
„ბაიერნი“	15	36:16	23
„ბორუსია“	15	40:15	20

შოტლანდია

ჩემპიონატის XI ტურში ლიდერებმა მორიგი 2-2 ქულა აიღეს: „აბერდინმა“ შინ აჯობა „ისტ ფაიფს“ — 5:0. გლაზგოს „სელტიკი“ „დანდი იუნაიტედთან“ 48-ე წუთამდე აგებდა (0:1), მაგრამ შემდეგ ჰუდმა (2), დალგლიშმა, მაკარიმ და ლენოქსმა ანგარიში გახადეს 5:1 „სელტიკის“ სასარგებლოდ.

„აბერდინი“	11	32:5	20
„სელტიკი“	11	33:9	19

ესპანეთი

IX ტურის ცენტრალური მატჩი შედგა მადრიდში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „რეალი“ და ამ ქვეყნის ჩემპიონი „ვალენსია“. ანგარიში ვალენსიელმა ვალდესმა გახსნა, მაგრამ მადრიდელმა ანსარლამ ჰაქეთა გოლი — 1:1.

„ბარსელონამ“ შინ წააგო ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ — 0:1.

„რეალი“	9	16:5	15
„ვალენსია“	9	14:6	14
„სევილია“	9	15:8	12

ბელგია

ქვეყნის ჩემპიონი და გათამაშების ლიდერი — ლიეჟის „სტანდარდი“ ანტვერპენში შეხვდა ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. ჩემპიონმა მხოლოდ ქულის აღება შეძლო — 1:1.

„სტანდარდი“	10	22:5	16
„ფკ ბრიუჟი“	10	22:8	16
„ანდერლეხტი“	10	18:13	13

იტალია

VI ტურის ორივე ცენტრალური შეხვედრა ფრედ დამთავრდა: „მილანი“ — „კალიარი“ 0:0, „ნაპოლი“ — მილანის „ინტერნაციონალე“ 0:0.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები არიან ბეტეგა („იუვენტუსი“) და ბონინსენია („ინტერნაციონალე“). მათ 4-4 გოლი აქვთ გატანილი.

„იუვენტუსი“ (ტურინი)	6	13:6	10
„ინტერნაციონალე“	6	11:4	9
„მილანი“	6	8:4	9

იუგოსლავია

ქვეყნის თასის მფლობელმა და გათამაშების ლიდერმა — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ შინ სძლია ტუზლის „სლობოდას“ — 2:0. ორივე გოლი საკუთარ კარში გაიტანეს „სლობოდის“ მცველებმა ავდიჩევიჩმა და ხატუნიჩმა.

„ცრვენა ზვეზდა“	13	22:5	20
„ჟელეზნიჩარი“ (სარაე.)	13	21:9	18
ოფკ (ბელგრადი)	13	17:11	16

ჰოლანდია

XIII ტური როტერდამის „ფეიენოორდისთვის“ საბედისწერო აღმოჩნდა. მან საკუთარ მინდორზე წააგო „ფკ ტვენტესთან“ (0:1) და ლიდერობა დაკარგა

ჩემპიონის ყველაზე საშიშმა მეტოქემ — ამსტერდამის „აიაქსმა“ სტუმრად აჯობა უტრეხტის დოს-ს — 3:2.

„აიაქსი“	13	26:6	23
„ფეიენოორდი“	13	27:5	21
„ფკ ტვენტე“	13	17:5	20

• • •

სურათზე: XVII ტურის მატჩი ლონდონის „არსენალსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის. „არსენალის“ თავდამსხმელ ს. ნელსონს გააქვს ბურთი მანჩესტერელთა კარში. მანჩესტერელთა მეკარე ჯ. კორიგანი (მარცხნივ) და თავდამსხმელი ა. ოუქსი ამაოდ ცდილობენ კარის გადარჩენას.

„მორნინგ სტარის“ ფოტო.

მემორიალი გაიხსნა

მოსკოვი, 23 ნოემბერი. სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დღეს საზეიმოდ გაიხსნა გენიალური რუსი მოჭადრაკის ა. ალიოხინის III მემორიალი — თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირი.

მონაწილეებს მიესალმნენ სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ივონინი და ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი ბ. როდიონოვი (მოსკოვი).

მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა, დიდოსტატმა ა. კოტოვმა მოჭადრაკეებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეჯიბრების პირობები. შემდეგ მან მონაწილენი წილისყრაზე მიიწვია. სატურნირო ცხრილი ასე შეივსო:

1. ვ. კორჩნოი, 2. ლ. შტეინი, 3. ვ. სმისლოვი, 4. ვ. სავონი (ყველა — სსრ კავშირი), 5. ბ. პარმა (იუგოსლავია), 6. ფ. ოლაფსონი (ისლანდია), 7. ლ. ლენდიელი (უნგრეთი), 8 ფ. გეორგიუ (რუმინეთი), 9. რ. ბირნი (აშშ), 10. ი. ბალაშოვი (სსრ კავშირი), 11. ვ. ულმანი (გდრ), 12. ბ. სპასკი, 13. მ. ტალი, 14. ა. კარპოვი (სამივე — სსრ კავშირი), 15. ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), 16. ვ. ტუკმაკოვი, 17. დ. ბრონშტეინი, 18. ტ. პეტროსიანი (სამივე — სსრ კავშირი).

მემორიალის მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ I-IX ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის პრიზებით. დაწესებულია აგრეთვე ჯილდოები შემოქმედებითი მიღწევებისთვის. მაგალითად, გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ დააწესა სპეციალური პრიზი „ალიოხინის სტილში“ იერიშისთვის.

მემორიალი გაიმართება საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის შენობაში. I ტური — 24 ნოემბერს.

ყინულის მოედნებზე

23 ნოემბერს გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:4, ასკ (ლენინგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) 3:4, „სპარტაკი“—„ლოკომოტივი“ (ორივე — მოსკოვი) 3:1, „ტორპედო“ (გორკი) — ცსკა 5:6.

ჰ ო კ ე ი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **დღეს** — კალათბურთელ ვაჟთა XXXIX საკავშირო ჩემპიონატის მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი). დასაწყისი 18 ს. (დუბლიორები) და 20 ს. (ძირითადი შემადგენლობანი).

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

დაწინაურდა კუშნირი

კისლოვოდსკი, 24 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ნ. ალექსანდრია (თბილისი) — ა. კუშნირის (მოსკოვი) მატჩის II პარტია.

ბრძოლა სიცილიური დაცვით დაიწყო. ალექსანდრიამ ორიგინალურად გაითამაშა ეს მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლილი დებიუტი და შემტევი პოზიცია მიიღო. კუშნირი ფხიზლად თამაშობდა, უცდიდა მეტოქის ზრახვების გამომჟღავნებას.

მე-16 სვლაზე თბილისელმა მოჭადრაკემ იჩქარა კუთა გაცვლა, რითაც კუშნირს დაცვა შეუმსუბუქა. პოზიცია მაინც უაღრესად მწვავე იყო, როცა ალექსანდრიამ საშამათო იერიში წამოიწყო. მოსკოველმა მოჭადრაკემ უაღრესად ზუსტი სვლებით უგნებელყო მეტოქის ყველა მუქარა.

ამასობაში ორივე მოჭადრაკე ცაიტნოტში აღმოჩნდა. ასეთ დროს ჩვეულებრივ უფრო ხშირად მოიერიშე ტყუვდება. ალექსანდრიაც შეცდა, მისი 28-ე და 29-ე სვლები უხეირო გამოდგა. საჭირო იყო ენდშპილში გადასვლა, სადაც ყაიმისთვის ბრძოლა შეიძლებოდა. შემდგომ თამაშში კუშნირმა შეინარჩუნა ცაიტნოტში მოგებული პაიკი. ალექსანდრიამ ამაოდ სცადა მხედრის შეწირვით მეფის მუდმივი ქიშის გამოცხადება. 42-ე სვლაზე, როცა ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი დრო, იგი დანებდა.

II პარტია

ალექსანდრია — კუშნირი

1. e4 c5 2. მf3 e6 3. მc3 d6 4. a3 მf6 5. b4 მc6 6. bc dc 7. კb5 ლc7 8. 0—0 კd7 9. d3 a6 10. კ:c6 კ:c6 11. e5 მd7 12. კf4 კe7 13. ეe1 0—0 14. მe4 b5 15. ლd2 მb6 16. კg5 მd5 17. c4 კ:g5 18. ლ:g5 h6 19. ლg4 მe7 20. მf6+ მფh8 21. მh5 ეg8 22. მh4 ეad8 23. ეe3 ლd7 24. ეae1 ლd4 25. მf4 მფh7 26. მf3 კ:f3 27. ლ:f3 bc 28. ეe4 ლc3 29. ლh5 cd 30. მh3 g6 31. ლf3 მf5 32. g4 მd4 33. ლg3 მc2 34. ეd1 მd4 35. მფg2 მe2 36. ლh4 ეd4 37. მg5+ მფg7 38. მ:e6+ fe 39. ლe7+ მფh8 40. ლf6+ ეg7 41. ლf8+ მფh7. თეთრები დანებდნენ.

25 ნოემბერს შედგება I პარტიის დამთავრება, ხოლო 26 ნოემბერს — III პარტია.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03207